ეთნარქის სახე („ქართლის ცხოვრებაში“ ჩართული „ფარნავაზის ცხოვრება“; პარალელი პლუტარქეს „რომულუსთან“)

ნინო ლაზარაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა ჭყოიძე, ასოცირებული პროფესორი, იოანინას უნივერსიტეტის (საბერძნეთი) ფილოსოფიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022 წ.

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა

ნინო ლაზარაშვილი.....

თარიღი: 01/07/2022

სარჩევი

აბსტრაქტი 1

Abstract 3

შესავალი 5

1.1 საკვლევი საკითხი/პრობლემა 5

1.2 კვლევის მიზანი 5

1.3 გამოყენებული ლიტერატურა 7

1.4 კვლევის მეთოდოლოგია 7

თავი I მმართველის ლეგიტიმაცია 9

თავი II „ფარნავაზის ცხოვრების“ ავტორი 12

თავი III პლუტარქე და მისი „რომულუსი“ 18

თავი IV განგების ძალით გადარჩენილი ბავშვი 23

თავი V სიზმარი 26

თავი VI განსაცდელი/გარდატეხა 31

თავი VII სწორად შერჩეული მოკავშირე „უცხო თესლის“ წინააღმდეგ 35

თავი VIII ფარნავაზის მიერ გატარებული რეფორმები 38

თავი IX რომულუსის რეფორმები 47

თავი X ძლევამოსილებიდან განდიდებისკენ 51

თავი XI დედის როლი 55

დასკვნა 58

ბიბლიოგრაფია: 61

აბსტრაქტი

ეთნარქის სახე ყველა ერის ისტორიაში საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. მის ლეგიტიმურობას კი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ასპექტები განსაზღვრავდა. მმართველობის კანონიერებას ამყარებდა სამეფო სახლთან ნათესაური კავშირი, ძლიერი მხარის მიერ ხელდასხმა თუ ახალი რელიგიის ოსტატურად მორგება სახელმწიფო მმართველობაზე.

სახე, რომელიც ფარნავაზმა შექმნა, კანონიერი იყო, ერთი მხრივ, მამასახლისთან ნათესაური კავშირით და ანტიოქოს ასურასტანის მიერ გვირგვინის გამოგზავნით, რაც გარეშე ძალის აღიარებას გულისხმობდა, ხოლო, მეორე მხრივ, ზეციური ძალის მიერ მინიჭებული უპირატესობით.

ევროპულ რეალობაში, ამ თვალსაზრისით, ყველაზე პოპულარული სახე იყო რომულუსი, რომის ლეგენდარული დამაარსებელი. მას ჰქონდა სამეფო სახლთან ნათესაური კავშირი და, ამასთანავე, იყო განგების რჩეული. ამ აღიარების კვალად, რომულისიც და ფარნავაზიც გამოირჩეოდა პირადი ღირსებებითა და სხვადასხვა უნარებით, რომელიც დამახასიათებელი და აუცილებელია სახელმწიფო მოღვაწისთვის. რეფორმები, რეგურალური ჯარისა და „ლეგიონის“ შექმნა, კანონმდებლობა და სახელმწიფო საქმეების წარმატებით განკარგვა, დანგრეული ციხე-ქალაქების აღდგენა და ქალაქის დაარსება - ეს არასრული ჩამონათვალია ანტიკური გმირების ნამოქმედარისა. ფაქტი კი ერთია: მათ შექმნეს ეთნარქის უნივერსალური მოდელი და დატოვეს უტყუარი ანაბეჭდი ისტორიაში.

ფარნავაზის თემასთან დაკავშირებით, არაერთ ისტორიკოსს გამოუთქვამს აზრი, ისევე როგორც უმსჯელიათ, რომულუსის ირგვლივ. თუმცა მათი შედარება-შეთანასწორება დღემდე არ მომხდარა. ჩემი მიზანი ამ ორი ფიგურის შედარება იყო. მათში არსებული მსგავსი დეტალები შესაძლებელს ხდიდა ეთნარქის სახის წარმოჩენას, როგორც საქართველოდან ფარნავაზის კუთხით, ასევე - შორეული რომიდან, რომულუსის სახით. ამ შედარებითი ანალიზით, მანძილი, რომელიც არსებობდა ამ გეოგრაფიულ პუნქტებს შორის, გახდა უმნიშვნელო და მეტი ყურადღება იქნა გადატანილი საერთო ღირსებებსა და მათ (ფარნავაზი, რომულუსი) მიერ გადადგმული ნაბიჯების მსგავსებაზე, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლევა ისტორიული წყაროების სიმწირე (განსაკუთრებით, ფარნავაზთან მიმართებაში).

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეთნარქის სახე, ლეგიტიმურობა, ფარნავაზი, რომულუსი, რეფორმები,რეგულარული არმია, ციხე-ქალაქები, ქალაქის დაარსება, კანონმდებელი.

Abstract

Developing types ethnarchy was multi-century process in every nation's history. Its legitimacy depended on different aspects in different eras. Legality of the governance came by being relative to the royal family, being supported by powerful or by cleverly fitting new religion with state governance.

Type of ethnarchy, which was created by King Pharnavaz, was legitimate, on one hand it was backed up by kinship with Mamasakhlisi and getting the crown sent by Antiochus Asurastan, which meant recognition of foreign power. On second hand, Pharnavaz's ethnarchy was chosen by higher power.

In Europe, by this definition, the most popular type of ethnarchy was Romulus, the legendary founder of the Rome. He had kinship with royal family and also, he was chosen of fate. Besides this kind of recognition, both Pharnavaz and Romulus stood out with their personal traits and different skills, which is mandatory for state figure. Reforms, creating regular army and ,,Legion'', legislation and governing successfully, restoring destroyed castle towns and founding new towns – this is the incomplete list of things these antique heroes accomplished. There is one fact, they created universal model ethnarchy and left the indelible footsteps in the history.

In relation of Pharnavaz and Romulus many historians shared their opinion and discussed both historical figures, but until this day,

they have never been compared to each other. My goal is to compare them. Their unique personal traits and circumstances made creating new types of ethnarchies possible, in Georgia it was Pharnavaz, in Rome it was Romulus. This comparative analysis erased the geographical distance between these two historical places and its mainly focused on similarities between their(Fharnavaz, Romulus) common traits and the steps they took. I will try to dig as deep into comparison as historical sources go, which is unfortunately scarce (particularly for Pharnavaz).

Key search terms: Types of ethnarchies, Legitimacy, Pharnavaz, Romulus, Reforms, Regular army, Castle towns, Founding a town, Legislator.